ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95251784**

თარიღი:**27/06/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის ახალი ქუჩებისა და ჩიხების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.ორთოფოტოს თანახმად:

ა) გაგრძელდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის მე-3 ქუჩა;

ბ) დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის მე-4 ქუჩა, მე-4 ქუჩის I და II ჩიხი;

გ) დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საბადურის მე-5 ქუჩა.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

ა) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

გ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

დ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ე) ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი